ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 2---

27 იანვარი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობას და „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ის (ამჟამად „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ") შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველისთვის განსაზღვრულ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემისს შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 14 იანვრის N02.07.32 განკარგულების საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობას და „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ის (ამჟამად „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ") შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ნივთის (29874 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ფართობით 50,73 კვ.მ, საკადასტრო კოდი: N01.19.19.001.008) საჯარო რეესტრში რეგისტრირებული - „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით" ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი